სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

ნოდარ დარსანია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.23

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები და პოლიტიკური სიტუაციის ესკალაცია საქართველოში

აბსტრაქტი. არჩევნები დემოკრატიული წეს-წყობილების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. მოქალაქეთა მიერ თავისი საარჩევნო უფლებების რეალიზაცია სახელმწიფოს მართვაში მათი მონაწილეობის ერთერთი უმთავრესი ფორმაა, რადგანაც წარმომადგენლობითი ორგანოები გვევლინება სწორედ ხალხის სახელმწიფოებრივი ნების გამომხატველად.

2020 წელი საპარლამენტო არჩევნების წელი იყო. საარჩევნო კამპანია ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა. ყველა პარტია თუ პარტიული ბლოკი ძალისხმევას არ აკლებდა, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა მოეპოვებინა და საარჩევნო მარათონზე წარმატებისათვის მიეღწია.

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, რომელიც ცესკომ იმავე წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა, პარლამენტში ცხრა პოლიტიკური სუბიექტი შევიდა. ყველაზე მეტი, 90 მანდატი (60 პროპორციული წესით და 30 - მაჟორიტარული), პარტია „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა. დანარჩენი მანდატები 8 პოლიტიკურ გაერთიანებას შორის განაწილდა. მათ შორის, ყველაზე მეტი, 36 მანდატი, პარტია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო.

საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პოლიტიკური ვითარება ძალიან დაიძაბა. ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებას ანტიდემოკრატიული პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებდნენ და მასთან ურთიერთობის გარკვევას მხოლოდ ქუჩის აქციებით ცდილობდნენ.

---

[1] **ნოდარ დარსანია,** ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა და ევროკავშირმა არჩევნები ლეგიტიმურად ცნო, ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის კონსესუსი ვერ შედგა. პოლიტიკურმა პროცესებმა ქვეყანაში უმართავი ხასიათი მიიღო, რაც ევროკავშირის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ევროკავშირმა მედიატორის როლი იკისრა და დაძაბულობის განმუხტვის მიზნით საქართველოს მათი წარმომადგენლობა ეწვია. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მიღწეულ იქნა ორივე დაპირისპირებული მხარისათვის კომპრომისული შეთანხმება და, შესაბამისად, გაფორმდა ოფიციალური დოკუმენტი.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, 2020 წლის 31 ოქტომბერი, საპარლამენტო არჩევნები, პოლიტიკური ვითარება, ევროკავშირი, მედიატორი.

Nodar Darsania[2]

Sokhumi State University

Parliament Elections of October 31, 2020 and Escalation of Political Situation in Georgia

Abstract. Elections are the significant part of the democratic order of a government. Realization of the voting rights by citizens is one of the main forms of their participation in the governance of the state, because the representative bodies should appear to express the state will of the people.

2020 was the year of Parliament elections. The election campaign was carried out on a large scale . Each party or block did their best efforts to gain the support of a significant part of the electorate and to gain success in the election marathon.

According to the summarizing protocol of the Parliament Elections of October 31, 2020, which has been published by the CEC on December 3 of the same year, nine political subjects entered the Parliament.

The most of the seats - 90 seats (60 by proportional and 30 by majoritarian order) was won by the party – „Georgian Dream“. The remaining seats were distributed among 8 political unions. Among them, the largest number - 36 seats, was won by the party „National Movement“. The political situation became very tense after the Parliamentary elections. Opposition parties have blamed the government for pursuing anti-democratic policies and they made attempts to justify their relationship only by actions through street protests.

Regardless of the fact that the USA and the EU recognized the elections as legitimate, there could not be reached a consensus between the government and the opposition. The political process in the country became unmanageable and it

[2] **Nodar Darsania,** Doctor of History, Associate Professor of Sokhumi State University

appeared in the focus of the EU. The European Union took on the role of mediator in this situation and sent their mission to Georgia in order to defuse tensions between the parties. After long term negotiations, a compromise agreement was reached between the two opposing parties and, as a result, an official document was signed.

Key words: Georgia, October 31, 2020, parliamentary elections, political situation, European Union, mediator.

ძირითადი კვლევა. არჩევნები დემოკრატიული წეს-წყობილების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. დიდია მისი როლი სახელმწიფო წარმომადგენლობითი ორგანოების ჩამოყალიბებაში. არჩევნების მეოხებით საზოგადოებას ეძლევა საშუალება წარმომადგენლობით ორგანოში წარგზავნოს საზოგადოების რჩეული, ღირსეული ადამიანები, რომლებიც, თავის მხრივ, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტის შემთხვევაში, ხალხის ნებას გამოხატავენ. მოალაქეთა მიერ თავისი საარჩევნო უფლების რეალიზაცია სახელმწიფოს მართვაში მათი მონაწილეობის უმთავრესი ფორმაა, რადგანაც ხალხის უმთავრესი ნების გამომხატველად სწორედ წარმომადგენლობითი ორგანოები გვევლინება. ისინი ქმნიან ქვეყნის, სახელმწიფო ორგანოთა მთელი სისტემის საფუძველს (ცხვედიანი, 2000: 3). ამიტომაა, მას, ძალიან ხშირად, სრულიად სამართლიანად, პოლიტიკური პროცესების განუყოფელ ელემენტად თვლიან.

არჩევნებს რამდენიმე დანიშნულება გააჩნია. ერთი მხრივ, ესაა პოლიტიკური თანამდებობების შევსება, წარმომადგენლობითობა, მთავრობის დაკომპლექტება და პოლიტიკურ კურსზე ზეგავლენა. მეორე მხრივ, რადიკალი თეორეტიკოსების აზრით, არჩევნებმა უნდა შექმნას ლეგიტიმურობის საფუძველი, ჩამოაყალიბოს საზოგადოებრივი აზრი და ხელი შეუწყოს ელიტების გაძლიერებას (ჰეივუდი, 208: 342).

არჩევნების წარმართვის პროცედურა გარკვეულ სამართლებრივ სისტემას ემყარება. საარჩევნო სისტემა კი არჩევნების ჩატარების წესთა ერთობლიობაა, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციის საფუძველზე იქმნება.

მოსახლეობის უფლებების გარკვეულწილად სამართლიანად დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში მოქმედ საარჩევნო სისტემას. რამდენად თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს იგი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებს თავიანთი უფლებების გამოხატვაში და რამდენად კმაყოფილია ამომრჩეველი და მთლიანად საზოგადოება.

საარჩევნო სისტემა ზოგ ქვეყანაში არანაირ კამათს არ იწვევს, სხვაგან კი ეს საკითხი ლამის უმთავრეს პოლიტიკურ და კონსტიტუციურ მნიშვნელობას იძენს ხოლმე. მაგალითად, საქართველოში საარჩევნო სისტემის პრობლემა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პოლიტიკური დაპირის-

პირების საგანი ხდება. ოპოზიციური პარტიები და ჯგუფები დღეს მხარდამ-ჭერების მოზიდვაში არიან, რაც მათგან ელექტორატთან მუშაობის სტილის გარკვეულწილად გარდაქმნას და დიდ ძალისხმევას მოითხოვს საზო-გადოებაში მთელი მასშტაბით სააგიტაციო საქმიანობისა და ინტერესთა ჯგუფებთან მჭიდრო კომუნიკაციის დამყარებისათვის.

რასაკვირველია, ოპოზიციურ პარტიებს გარკვეული ხარვეზებიც გააჩნია. ჯერ ერთი, გარდა „ოცნებისა“ და ნაციონალური პარტიებისა, სხვა დანარჩენი პარტიები მცირერიცხოვანი არიან და, რაც აღსანიშნავია, მათი შემადგენლობა ხარისხობრივად დიდად არ გამოირჩევა. მეორე, ამ პარტიებში დისციპლინური საკითხი - ერთიანობა ძალიან მყიფეა. ხშირია ერთი პარტიიდან მეორეში გადასვლა, არჩევნების შემდეგ იმედგაცრუებულთა მიერ პარტიის რიგების დატოვება, რასაც შედეგად ხშირად მთელი პარტიების დაშლა-გაუქმება მოჰყვება. რაც მთავარია, ისინი არაკონკურენტუნარიან პარტიებს წარმოადგენენ.

მესამე, პარტიული და ორგანიზაციული სტრუქტურების სისუსტე, რაც გამოიხატება იმაში, რომ არჩევნებიდან მომავალ არჩევნებამდე პერიოდში სააგიტაციო მუშაობა ჩავარდნილია. მიზეზი ისაა, რომ არ გააჩნიათ ადგილობრივი ორგანიზაციები, თუ გააჩნიათ მათი საქმიანობა ძალზე უფერულია. და, რაც აშკარაა, ისინი მხოლოდ არჩევნების პერიოდში ეწევიან მუშაობას, მაშინ ეტყობათ გამოცოცხლება და, შესაბამისად, ააქტიურებენ რეგიონალურ სტრუქტურებსაც.

ამჟამად ნათელია ისიც, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში აშკარად გაირკვა მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი და მას პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოადგენს. ამდენად, ძირითადად, პოლიტიკური დაპირისპირება „ნაციონალურ მოძრაობასა“ და სახელისუფლებო პარტია „ქართული ოცნება, დემოკრატიულ საქართველოს“ შორის მიმდინარეობს. ხოლო დანარჩენი ოპოზიციური ძალები, მუდმივად ჩამოყალიბებასა ან გადაჯგუფებაში იმყოფებიან.

ყოველივე აქედან გამომდინარე, დამოკიდებულება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის აშკარად ხისტი და აგრესიულია. მუდმივი კონფრონტაცია მათი პოლიტიკური ცხოვრებისა და მოღვაწეობისა სტანდარტული შემადგენელი გახდა. ეს კი დესტაბილიზაციის საფრთხის საშიშროებას შეიცავს და ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის გარეშე საფრთხის გაძლიერებას.

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ხელისუფლების დამოკიდებულება ოპოზიციისადმი როგორც კონფროტაციული, ისე ზოგჯერ ცინიკურიცაა. თუმცა ხელისუფლებას ვალში არც ოპოზიცია (განსაკუთ-

რებით, „ნაციონალური მოძრაობა“) ჩამორჩება. თუმცა, რასაკვირველია, ძლიერი კონსტრუქციული ოპოზიციის გარეშე ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა შეუძლებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ, თუ ურთიერთობის კონსტრუქციულობაზეა საბარი, მაშინ ამაზე ორივე მხარემ უნდა იზრუნოს, როგორც ოპოზიციურმა, ისე სახელისუფლებომ. თუმცა, ამ საკითხის სწორად გადაჭრა, რა თქმა უნდა, უფრო ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მოქნილ გაწონასწორებულ და პრაგმატულ პოლიტიკას წარმართავს ის.

ბოლო ხანებში საქართველოში უცნაური პარადოქსული ვითარება შეიქმნა. ხელისუფლების რეიტინგი მკვეთრად ეცემა. თუმცა, იმავდროულად ხელისუფლებაზე განაწყენებული, გულაცრუებული ადამიანები კრიტიკულად არიან განწყობილი ოპოზიციის მიმართაც. შესაბამისად, არც ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს ენდობიან და არც ოპოზიციაში მყოფ პარტიებს. საქართველოს პოლიტიკური სივრცე გადატვირთულია პოლიტიკოსებითა და სხვადასხვა პარტიებით, მიუხედავად სიმრავლისა, ელექტორატისათვის კი ასარჩევი არაფერია (მაცაბერიძე, 2006: 110-111). საქართველოში პოლიტიკური ძალა, როგორც წესი, მის ლიდერშია. სწორედ ლიდერზეა (სხვა ფაქტორებთან ერთად) ბევრად დამოკიდებული პარტიის ხელისუფლებაში მოსვლა (ამ შემთხვევაში ლიდერი ქარიზმატული თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს), რაც უმნიშვნელოვანესია. ასე იყო პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ გაქანებისა და მისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, როცა მას სათავეში ედგა მიხეილ სააკაშვილი. ასე იყო პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მმართველობის დროსაც, როცა მას ოფიციალურად ხელმძღვანელობდა ბიძინა ივანიშვილი. დღეს კი გამოკვეთილი სახეების, ფართო დიაპაზონის ქარიზმატი ლიდერების დეფიციტია. ამიტომ ისევ „ნაციონალურ მოძრაობაში“ მიხეილ სააკაშვილისა და „ქართულ ოცნებაში“ ბიძინა ივანიშვილის როლი და გავლენა, როგორც ამ პარტიების შემომქმედთა, ძალზე დიდია.

ამდენად, საქართველოში ელექტორატიც კვლავ ლიდერზეა ორიენტირებული და ლიდერის გარეშე არ ცნობს პარტიას. აღსანიშნავია, ასევე, ისიც, რომ ამომრჩეველს არ აინტერესებს პარტია და არც მისი საარჩევნო პროგრამა (რაც ძალიან ცუდია და უშუალოდ პოლიტიკური კულტურის დონეზე მიუთითებს) ისინი ლიდერებს მიჰყვებიან (მაცაბერიძე, 2006: 113).

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა საზოგადოებრივი გამოკითხვებით დაკავებული სოლიდური ორგანიზაციის - ანალიტიკურ საკონსტიტუციო კომპანია „ედისონ რისერჩის“, 2020 წლის 13 ოქტომბრის წინასაარჩევნო

განწყობების შესახებ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები.

კვლევის მიხედვით, პასუხები კითხვაზე, თუ ვის მისცემდნენ ხმას, საპარლამენტო არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, ასე გადანაწილდა: „ქართული ოცნება“ - 36%, „ენმ-ძალა ერთობაშია“ - 17%, „ევროპული საქართველო“ - 5%. 24% კი აცხადებს, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ ვის მისცემს ხმას.

ამავე კითხვაზე 4%-ის განცხადებით, ხმას „გიორგი ვაშაძე“ - სტრატეგია აღმაშენებელს“ აძლევს. „ლეიბორისტულ პარტიას“ - 3%, „პატრიოტთა ალიანსს“ - 3%; „გირჩს“ - 2%; „ლელოს“-2%; „მოქალაქეები-ალეკო ელისაშვილს - 1%; „ნინო ბურჯანაძე-ერთიან საქართველოს“ - 1%; „გამარჯვებული საქართველო-ირაკლი ოქრუაშვილს“ - 1%; სხვა პარტიებს - 1%. კვლევა მიმდინარეობდა 17 სექტემბერიდან 7 ოქტომბრის პერიოდში პირდაპირი გამოკითხვის მეთოდით. ქვეყნის მასშტაბით (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა) შერჩევის ტიპით გამოიკითხა საქართველოში მცხოვრები საარჩევნო უფლების მქონე 18 წლისა და მეტი ასაკის 4500 მოქალაქე. შედეგების ცთომილებას კომპანია ვარაუდობს +-1,5%-ს (გაზეთი „ახალი თაობა“, 2020).

საერთოდ, საქართველოში სამომავლო პერსპექტივების დასახვას ხელისუფლებაც და ოპოზიციაც მაღალი რეიტინგების მოშველიებით ცდილობს. საკუთრივ, ამ გამოკვლევების უმეტესობა კი საზოგადოებას თვალით არ უნახავს და მის მიმდინარეობაზე ყურიც არ მოუკრავს. აღსანიშნავია, რომ ყოველი პარტია გამოკვლევებს „შიდა მოხმარებისათვის“ აკეთებს. საკუთარი შეკვეთით ჩატარებულ გამოკვლევებში, როგორც ყოველთვის, დამკვეთი პარტია ლიდერობს და, რასაკვირველია, შედეგითაც კმაყოფილია. ცხადია ისიც, რომ თითოეული პარტია დანარჩენი პარტიებისაგან ჩატარებულ გამოკითხვებს უნდობლობას უცხადებს და მას ტენდენციურადაც მიიჩნევს (მაცაბერიძე, 2006: 109).

როგორც ადრე, რეიტინგები პოლიტიკური დაპირისპირების ინსტრუმენტად დღესაც რჩება. „ხალხის აზრი“ ოფიციალურად გამოქვეყნებულ რეიტინგებში პოლიტიკოსებს ნაკლებად აინტერესებთ. მათი შეხედულებით, მთავარია ამ რეიტინგებში მათ მიერ დაკავებული ადგილი. ნიშანდობლივია პოლიტიკოსების მხრიდან ამ გამოკითხვებისადმი დამოკიდებულებაც. თუ მათ ადგილი დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს, გამოკითხვის შედეგებსაც აღიარებენ, თუ არადა, მას ყალბად გამოაცხადებენ და „მოწინააღმდეგის დაკვეთად“ (მაცაბერიძე, 2006: 109) „მონათლავენ“.

ამდენად, რეიტინგების გარშემო დავა ისევ მწვავედ მიმდინარეობს. ოპოზიცია აკრიტიკებს ხელისუფლებას იმაში, რომ მან ვერ გაამართლა. 2012 წლიდან მოყოლებული მწვავე პრობლემები ვერ გადაჭრა და ხალხს მოლო-

დინი და იმედები გაუცრუა, რის შედეგადაც, მათი მტკიცებით, მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ რეიტინგმა ძალიან დაიწია.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, მართალია, მნიშვნელოვნად დაეცა ხელისუფლების რეიტინგი, მაგრამ არც ოპოზიციური პოლიტიკური ძალების რეიტინგი იზრდება დიდად. თანაც ამ პარტიების პროგრამებსა და მათ გამოსვლებში სათანადოდ არაა ასახული საზოგადოების ცალკეული სოციალური კატეგორიების ინტერესები და მოთხოვნები, რაც შესაბამისად, იწვევს იმას, რომ ისინი ვერ პოულობენ მხარდაჭერას საზოგადოების ფართო ფენებში, რაზეც მოწმობს ჩვენი მხრიდან წარმოდგენილი კომპანია „ედისონ რისერჩის“ მიერ ჩატარებული გამოკვლევები.

ამდენად, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არჩევნები მწვავე დაპირისპირების საგანს წარმოადგენდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ყოველთვის საპარლამენტო თუ ადგილობრივი არჩევნების წინა პერიოდში მმართველი პარტია ძალისხმევას არ იშურებდა, დაემტკიცებინა ის, რომ ინარჩუნებდა მაღალ რეიტინგს. მთელი ოპოზიცია კი იმას ცდილობდა, ეჩვენებინა, რომ საზოგადოების უმრავლესობის კეთილი განწყობა მის მხარეზეა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რაზეც ყოველთვის მიგვანიშნებს არჩევნები, ისაა, თუ როგორ მუშაობს არჩევნების ინსტიტუტი ქვეყანაში. ასევე, რამდენად სრულყოფილია და დემოკრატიულობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს თუ პასუხობს საარჩევნო სისტემა.

რეიტინგებთან დაკავშირებული საკითხის გარდა, საყურადღებოა ცესკოს ირგვლივ არსებული უთანხმოება - შეურიგებელი დავა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. საერთოდ, ცესკოს შემადგენლობის საკითხი ყოველთვის იყო დაპირისპირების ობიექტი, რადგან ამ ორგანოზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყანაში არჩევნების ჩატარებისა და მისი შედეგების შეჯამების მთელი ციკლი (დასკვნითი ეტაპი).

საქართველოში დამკვიდრებული წესის თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიების წარმომადგენლებისგან კომპლექტდებოდა. პარტიები კი, როგორც საარჩევნო კამპანიის ძირითადი სუბიექტები, ამ პრინციპს ეჭვქვეშ არ აყენებდნენ. თუმცა, დიდი ბრძოლა მიმდინარეობდა ცესკოს პერსონალური დაკომპლექტების წესის ირგვლივ. ხელისუფლება მუდმივად ცდილობდა ამ ორგანოში უმრავლესობის უზრუნველყოფას, რასაც ყოველთვის აღწევდა კიდეც, ხოლო ოპოზიცია უშუალოდ იღვწოდა, რომ ამისთვის ხელი შეეშალა (მაცაბერიძე, 2006: 106).

ყოველი ახალი საარჩევნო კამპანიის წინა პერიოდში ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების საკითხი მუდმივად დაპირისპირების მიზეზი ხდება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. ამ გაუთავებელი

დავის შედეგი ისაა, რომ 2020 წლის (10 ივნისის მდგომარეობით) საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ცესკოს დაკომპლექტების წესი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: ცესკო შედგება თავმჯდომარისა და 11 წევრისაგან. ცესკოს 5 წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს პარლამენტი, ხოლო 6 წევრს ნიშნავენ პარტიები. ცესკოს თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს ცესკოს სრული შემადგენლობის ორი მესამედი ფარული კენჭისყრით (საქართველოს საარჩევნო კოდექსი, 2020: 22-23).

ყველაზე დიდი ნაკლი და დაუდევრობა მთელი ამ ხნის განმავლობაში ოპოზიციური პარტიების მხრიდან იყო ის, რომ მათ ვერ მოახერხეს გაერთიანება. მართალია, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ გარკვეულმა პარტიებმა შეძლეს მიეღწიათ „ნაციონალურ მოძრაობასან“ გაერთიანება, მაგრამ ისიც ძალიან უფერული და მყიფე აღმოჩნდა. შედეგად ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიად აღიარებულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, ვერ მიაღწია თავის მიზანს - არჩევნებში ერთპიროვნულ გამარჯვებას და ხელისუფლებაში მმართველ პარტიად მოსვლას. როგორც ჩანს, ის ყველა საშუალება და მეთოდი ბრძოლისა, რომელსაც ის იყენებს ხელისუფების წინააღმდეგ, აშკარად წარუმატებელია და მიხეილ სააკაშვილისა და სხვა ახალი ლიდერების საქმიანობა და ყველა მცდელობა - უშედეგო. თავის მხრივ კი, ხელისუფლებისადმი - მმართველი პარტიის „ქართული ოცნებისადმი“ - ნდობა კი საზოგადოებაში ისევ მნიშვნელოვანია.

2020 წელი საპარლამენტო არჩევნების წელი იყო. საარჩევნო კამპანია ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა. ყველა პარტია თუ პარტიული ბლოკი ძალისხმევას არ აკლებდა, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერა მოეპოვებინა და საარჩევნო მარათონზე წარმატებისათვის მიეღწია.

ასე თუ ისე, სახელისუფლებო პარტიის - „ქართული ოცნების“ შემდეგ, სხვა ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით, მაღალი რეიტინგი „ნაციონალურ მოძრაობას“ გააჩნია. ამასთანავე, საინტერესოა პარტიის „მემარცხენე ალიანსის მდგომარეობა. საერთოდ, მემარცხენეები გარკვეულ ძალას წარმოადგენენ იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (უმეტესობა) სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება. შესაბამისად, მათი რეიტინგი მნიშვნელოვანია ქვეყნის მასშტაბით. მათ 4% ყოველთვის მხარს უჭერს თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და ზუგდიდში, ასევე სხვა ქალაქებში. აღსანიშნავია, რომ კარგად ცდილობს ქართულ პოლიტიკურ სცენაზე დამკვიდრებას გიორგი გახარიას პარტია „საქართველოსთვის. მისი პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის მიმზიდველია.

ასევე, ქართულ პოლიტიკაში თავის დამკვიდრებისათვის მთელი ძალისხმევით იბრძვის პარტია „ლელო“, მაგრამ მოსახლეობის უმეტესობისათვის მთლიანობაში მისი პროგრამა გაუგებარია. ჯერჯერობით აშკარა წარმატებას ვერ აღწევს „ნაციონალური მოძრაობის“ განაყოფი პარტია „ევროპული საქართველო“ (ლიდერი გიგა ბოკერია). ამ პარტიის სიცოცხლისუნარიანობას, ალბათ, მომავალი არჩევნები გვიჩვენებს.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში აშკარად გამოვლინდა ძირითადი ტენდენცია - საზოგადოება ნამდვილად არ არის რევოლუციურად აღტკინებული, დამუხტული. ხალხი ვითარებას რეალურად აცნობიერებს. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტიის რეიტინგმა საგრძნობლად დაიწია, ხელისუფლებასთან შედარებით ოპოზიციას მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი არ უჭერს მხარს, რაც ნათლად გამოიკვეთა 2020 წლის 13 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში.

ცესკოს ყველა უბნის წინასწარი მონაცემების მიხედვით, პროპორციული წესით 5%-იანი ბარიერი 9 პოლიტიკურმა გაერთიანებამ გადალახა. მათ შორის 120 პროპორციული მანდატიდან 116 მანდატი ნაწილდება. 4 თავისუფალი მანდატი დარჩა, რომელიც თანმიმდევრობით უდიდესი ნაშთის მქონე შემდეგმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა გაინაწილეს: „გირჩმა“, „ევროპულმა საქართველომ“, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეებმა“.

ცესკოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, პროპორციული სისტემით განსაზღვრული 116 მანდატი ასე განაწილდა: „ქართული ოცნება (48,-15%) - 61 მანდატი, „ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია“ (27,14%) - 34 მანდატი, „ევროპული საქართველო“ (3,78 %) - 4 მანდატი, „ლელო“ (3,15%) - 4 მანდატი, „პატრიოტთა ალიანსი (3,14 %) - 4 მანდატი, „სტრატეგია აღმაშენებელი“ (3,15%) - 4 მანდატი, „გირჩი“ (2,89%) -3 მანდატი, „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“ (1,33%) - 1 მანდატი (გაზეთი „ახალი თაობა“, 2020), „ლეიბორისტული პარტია“ (1%) - 1 მანდატი.

ხოლო 2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, რომელიც ცესკომ იმავე წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა, მეათე მოწვევის პარლამენტში 9 პოლიტიკური სუბიექტი შევიდა.

ყველაზე მეტი - 90 მანდატი (60 პროპორციული, 30 მაჟორიტარული წესით) „ქართულმა ოცნებამ“ მოიპოვა.

დანარჩენ 8 პოლიტიკურ გაერთიანებას შორის კი მანდატები ასე გადანაწილდა: ბლოკი „ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ - 36 მანდატი, „ევროპული საქართველო“ - 5 მანდატი, „პატრიოტთა ალიანსი“ - 4 მანდატი, „ლეიბორისტული პარტია“ - 1 მანდატი, „ალეკო ელისაშვილი-მოქა-

ლაქეები - 2 მანდატი, ბლოკი „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“ - 4 მანდატი, „გირჩი“ - 4 მანდატი, „ლელო“ - 4 მანდატი (გაზეთი „ახალი თაობა“, 2020).

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საზოგადოებაში დაძაბულობის ტემპერატურა არ დაწეულა. პირიქით, საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდიდან დაწყებული ადგილობრივი არჩევნების ბოლო პერიოდამდე და ამ არჩევნებიდან დღემდე მთავარ პრობლემად ხელისუფლებასა და გაერთიანებულ ოპოზიციას შორის (საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციამ მიაღწია შეთანხმებას, მაგრამ ძალიან მოკლე ხნით, ბოიკოტის პოლიტიკის შემდეგ - საპარლამენტო ოპოზიციის პარლამენტში შესვლის მერე, გაერთიანებამ არსებობა შეწყვიტა) ურთიერთობის საშუალებად კვლავ კონფროტაციული ფორმა რჩება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს დაპირისპირება დიდად ვერ შეუწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებასა და პოლიტიკური კულტურის შემდგომ ჩამოყალიბებასა და სრულყოფას. რაც მთავარია, დესტაბილიზაციის საფრთხის შემცველია. უფრო მეტი, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არაკონსტრუქციული დამოკიდებულება სულ უფრო აღრმავებს ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ კრიზისს. ეს კი საზოგადოების ჯანსაღი ნაწილისათვის სრულიად მიუღებელია. ვინაიდან კონსტრუქციული ოპოზიციის გარეშე დემოკრატიული ფასეულობებისა და ღირებულებების დამკვიდრება ქვეყანაში ყოვლად შეუძლებელია.

სამწუხაროდ, წესადქცეული მუდმივი პოლიტიკური დაპირისპირება და ინტერესთა შეჯახება, თავის მხრივ, საამისო ვითარებასა და სიტუაციას ქმნის გარეშე ძალების მხრიდან ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის.

ხელისუფლების რეიტინგის გარკვეულ ნიშნულზე დაწევა არ ნიშნავს ავტომატურად ოპოზიციური პარტიების რეიტინგის ამაღლებას. „ქართული ოცნების“ რეიტინგი გარკვეულწილად შემცირდა, მაგრამ მაინც საგრძნობლად აღემატება სხვა ოპოზიციური პარტიების რეიტინგს.

ადრეულ პერიოდთან შედარებით, დღევანდელ ოპოზიციას კარგად მიუწვდება ხელი ტელევიზიებსა და სხვა საინფორმაციო საშუალებებზე. ცალკეული ტელეარხები და ჟურნალ-გაზეთები საკმაოდ კარგად აშუქებენ ოპოზიციის საქმიანობას, მათ შეხედულებებსა და დამოკიდებულებას ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებზე.

ოპოზიციური პარტიების რეიტინგს ისიც ამცირებს, რომ ელექტორატი კარგად იცნობს მათ და მათ მიმართ პოზიტიური განწყობა ან ძნელად ვლინდება ან სრულიად უარყოფითია.

ამდენად, საქართველოში პოლიტიკური ვითარება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომ პერიოდში ძალიან დაიძაბა. საუბარი რაიმე კონსესუსსა და კომპრომისზე საერთოდ შეწყდა. სამაგიეროდ სულ უფრო იკვეთება ძალის დემონსტრირება. ორივე მხარე - ხელისუფლება და ოპოზიცია - ერთმანეთისგან მტრის ხატს ქმნიან და თავიანთ სიმართლეში დარწმუნებულობის სურათს წარმოგვიდგენენ. ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებას ანტიდემოკრატიული პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებენ და ურთიერთობის გარკვევას მხოლოდ ქუჩის აქციებით, მასობრივი საპროტესტო მიტინგებით ცდილობენ.

ხელისუფლებას პარლამენტში სახელისუფლებო უმრავლესობა ჰყავდა და ოპოზიციასთან თანამშრომლობა გარკვეული კანონების მიღების თვალსაზრისით, არ სჭირდებოდა. პარლამენტში ოპოზიციის (როგორც თვითონ აფიქსირებდნენ) დანიშნულება დემოკრატიულობის იმიჯის შექმნაა. მაგრამ ფაქტიურად ოპოზიციის მოთხოვნა გულისხმობდა ხელისუფლებასთან გარკვეული სახელისუფლებო ინსტიტუტების დათმობის მიღწევას ოპოზიციის სასარგებლოდ. სწორედ ამ მიმართულებით ცდილობდა ოპოზიცია ხელისუფლებისთვის პრობლემების შექმნას. როგორც თავად ამბობდნენ, მათ უნდოდათ ეჩვენებინათ საერთაშორისო თანამეგობრობისა და დემოკრატიული ქვეყნებისათვის, რომ საქართველოში ფაქტიურად დამკვიდრებულია ერთპარტიული პარლამენტი. ამის გამო მიმართეს პარლამენტში არჩეულმა ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ბოიკოტის პოლიტიკას.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ დროულად გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ „...საქართველოში საპარლამენტო არჩევნები კონკურენტულ გარემოში და, ზოგადად, ძირითადი თავისუფლებების დაცვით ჩატარდა“ (გაზეთი „ახალი თაობა“, 2020), უფრო მოგვიანებით ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა უშუალოდ მიმართა ოპოზიციას და განაცხადა: „ოპოზიცია პარლამენტში უნდა შევიდესო“ (გაზეთი „ახალი თაობა“, 2021). ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის კონსესუსი მაინც ვერ შედგა. პოლიტიკურმა პროცესებმა ქვეყანაში უმართავი ხასიათი მიიღო. ვითარება იმდენად კონფრონტაციული გახდა, რომ ის ევროკავშირის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ევროკავშირმა მედიატორის როლი იკისრა და დაპირისპირებულ მხარეებს შორის დაძაბულობის განმუხტვის მიზნით საქართველოს ევროკავშირის უმაღლესი ინსტანციის წარმომადგენლები ეწვივნენ. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი კომპრომისული შეთანხმება და, გაფორმდა ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ცნობილია ევროპული საბჭოს პრეზიდენტის „შარლ მიშელის დოკუმენტის“ სახელით.

2021 წლს 19 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართა შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერის ცერემონია.

ოპოზიციის მხრიდან დოკუმენტს ხელი მოაწერეს პარტიების: „გირჩის, „სტრატეგია აღაშენებლის“, „ლელოსა“ და „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეების“ ლიდერებმა. ასევე, არჩეული მაჟორიტარი დეპუტატებიდან - რამდენიმემ ინდივიდუალურად (სამმა სუბიექტმა) და პარტია „ქართული ოცნებიდან“ პარტიის სახელით ორმა წარმომადგენელმა. შეთანხმების მონაწილეებს მადლობა გადაუხადეს და მიულოცეს საქართველოში ევროკავშირისა და ამერიკის ელჩებმა (გაზეთი „ახალი თაობა“, 2021,).

დოკუმენტის თანახმად, ხელმომწერები ვალდებულებას იღებდნენ, შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში რეაგირებას მოახდენდნენ პოლიტიზირებულ მართლმსაჯულებად აღქმულ ორ საკითხზე ამნისტიისა ან ისეთი ზომების საშუალებით, რომლებიც ანალოგიურ შედეგს გამოიღებდა. კერძოდ, ამ შეთანხმების ხელის მოწერიდან ერთი კვირის ვადაში პარლამენტში წარმოდგენილ პარტიას უნდა მოეხდინა ინიცირება კანონისა ამნისტიის შესახებ, რომელიც 2019 წლის 19-21 ივნისის პროცესებთან დაკავშირებულ ყველა დარღვევასა და დაკავებას შეეხებოდა.

ამასთან ერთად, შარლ მიშელის წინადადების თანახმად, „ქართული ოცნების“ 2021 წლის 16 აპრილის შეთავაზების შესაბამისად, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა დანიშნულიყო 2022 წელს, თუ 2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი მმართველობის არჩევნებში პარტია „ქართული ოცნება“ მიიღებდა ნამდვილი პროპორციული ხმების 43%-ზე ნაკლებს (გაზეთი „ახალი თაობა, 2021).

ამდენად, დღეს პარლამენტში არსებულ ძალთა თანაფარდობას თუ გადავხედავთ, დომინირებს მმართველი პარტია - „ქართული ოცნება, დემოკრატიული საქართველო“. დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არ შენელებულა. საარჩევნო სისტემის საკითხი კვლავ მწვავედ დგას. მმართველი პარტია, რასაკვირველია, იღვწვის, საზოგადოებაში დომინირების შენარჩუნებისათვის. აშკარაა, მისი რეიტინგი სხვა ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით საკმაოდ მაღალია. თავის მხრივ, ოპოზიციას კი სურს დაამტკიცოს, რომ მოსახლეობაში მათდამი კეთილგანწყობა მუდმივად იზრდება. მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებმა პასუხი უნდა გასცეს ისეთ მწვავე და საჭირბოროტო საკითხზე, როგორიცაა როგორ იმუშავებს ბოლოს და ბოლოს, მომავალში არჩევნების ინსტიტუტი ქვეყანაში, რამდენად იქნება ის დაცული გაყალბებისა და სხვა დარღვევებისაგან, რომელთა გამო დღეს

საარჩევნო კამპანია საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში აშკარა უნდობლობას იწვევს.

რასაკვირველია, სამომავლოდ სამართლიანი და ობიექტური არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით უშუალო პასუხისმგებლობა ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ პარტიას ეკისრება, რაც, თავის მხრივ, რიგი ობიეტური და სუბიექტური მიზეზების გამო მთელი რიგი პოლიტიკური ღონისძიების ჩატარების კამპანიას გულისხმობს და ძალზე მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ამოცანასა და ვალდებულებას წარმოადგენს. დღის წესრიგი რთულია, მაგრამ აუცილებელი, რადგან ის უშუალოდ უკავშირდება საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას, ასევე, როგორც ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, ისე პოლიტიკურ წესრიგსა და სტაბილიზაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს საარჩევნო კოდექსი 2020 წლის (10 ივნისის მდგომარეობით), თბილისი, 2020;

ცხვედიანი (2000). რ. ცხვედიანი. საქართველოს საარჩევნო სისტემა. ნორმატიული აქტების კრებული. შემდგენელი როსტომ ცხვედიანი, თბილისი;

ჰეივუდი (2008). ენდრიუ ჰეივუდი. პოლიტიკა. თბილისი;

მაცაბერიძე (2006). მალხაზ მაცაბერიძე. ქართული პოლიტიკა: ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი. თბილისი;

გაზეთი „ახალი თაობა“, 2020, 2 ნოემბერი, N228;

გაზეთი „ახალი თაობა“, 2021, 4 თებერვალი, N15;\

გაზეთი „ახალი თაობა“, 2021, 20 აპრილი, N67;

გაზეთი „ახალი თაობა“, 2020, 4 დეკემბერი, N25;

გაზეთი „ახალი თაობა“, 2020, 13 ოქტომბერი, N214.